სსრ კავშირის თასი

4 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მერვედფინალური მატჩები.

თბილისის დინამოელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს“. ლენინგრადში 4 აგვისტოს მთელი დღე წვიმდა. საკმარისადაც გრილოდა (ტემპერატურა მხოლოდ + 14 გრადუსი) და სველ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა.

პირველი ტაიმი საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტებიც, როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან, ნაკლებად იქმნებოდა. 45 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა შესვენების შემდეგ თამაში შედარებით გამოცოცხლდა. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ ლენინგრადელებს ჩუხლოვს, დოლგოპოლოვს, კლემენტიევს, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა „დინამოს“ მეკარემ გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია.

საპასუხო კონტრშეტევები თბილისელებმაც განავითარეს, კერძოდ, სახიფათოდ უტევდნენ შენგელია, გურული, კორღალიძე, მაგრამ არც ამას გამოუღია შედეგი. მინსკელი არბიტრის ვ. ჟუკის სასტვენმა საბოლოოდ ფრე აღნიშნა - 0:0

თბილისის „დინამომ“ ლენინგრადში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ფირცხალავა, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, კორღალიძე (ქეცბაია), სვანაძე, სულაქველიძე, რევიშვილი (ჟვანია), გურული, შენგელია (კაკილაშვილი).

ლელო 6.08.1987